ბრძანება № 1-48

გორი

17 09 2019 წ.

„სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მობილობის/შიდა მობილობისა და სტუდენტის სტატუსის აღდგენის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ" რექტორის 2019 წლის 26 ივლისის №1-36 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის №125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდებისა და რექტორის (№1-36, 26.07.2019) ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მობილობის/შიდა მობილობისა და სტუდენტის სტატუსის აღდგენის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ" რექტორის 2019 წლის 26 ივლისის №1-36 ბრძანებაში შეტანილ იქნას ცვლილება და ბრძანების მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „7. აღდგენის მსურველი პირი ვალდებულია, სათანადო განცხადება რექტორის სახელზე წარმოადგინოს 2019 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით;"
2. ეს ბრძანება განთავსდეს სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და განთავსდეს სასწავლო უნივერსიტეტში ყველასთვის თვალსაჩინო ადგილებზე, მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით;
3. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით;
4. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (გორი, ჯორბენაძის № 30).

რექტორი: გიორგი სოსიაშვილი